

# საგრიელი

ქართული  
ზიზლითქვა

საორტული გაზეთი    სუთგაბათი 23 სექტემბერი 2004 №221 (2242)    ფასი 50 თეთრი

## თქვენ რა ისვით?!

ბრაიკოვიჩი ქართულად არა, მაგრამ ზოგი ქართველი მწვრთნელივით ზი ლაპარახობს



გურამ დოღუაშვილი ფოტო

დაახლოებით ორი წლის წინ, როცა ხორვატიის ნაკრებში მეორე მწვრთნელად ნამუშევარი დრაჟენ ბრაიკოვიჩი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, იგი ქართული კალათბურთის ჩიხიდან გამოყვანას და ნაკრების აღორძინებას დაგვირდა. თქვა, ამისთვის სამი წინაპირობაა საჭირო, კარგი სპეციალისტი, კარგი მოთამაშეები, კარგი ფედერაცია და თქვენ ახლა სამივე გყავთო. ამის თქმიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, როცა ჩვენი ეროვნული გუნდი ლუქსემბურგის გამოვლით მაკედონიიდან დამარცხებული დაბრუნდა, ბრაიკოვიჩი სულაც არ თვლის, რომ პირობა ვერ შეასრულა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ბრაიკოვიჩს ჰკითხეს, რატომ ნააგო ნბა-ში მოთამაშეებით გალონიერებულმა საქართველოს ნაკრებმა მაკედონიასთან, რომელსაც პრაქტიკულად ხეირიანი არავინ ჰყავდაო. მან არ ინება პასუხის გასაგებად ჩამოყალიბება. მაშინ ბრაიკოვიჩს სხვანაირადაც ჰკითხეს, რაზეც მისი პასუხი დაახლოებით ასეთი იყო — თქვენ რა გესმით, მე რომ პასუხს მთხოვთო. მისი ლოგიკით, ჩვენ ვალდებულები ვართ, იმდენი ვიცოდეთ, რამდენიც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა. ძველი სიმღერაა...

დარჩა კითხვები უპასუხოდ. მთავარი კითხვა კი ესაა — დარჩება თუ არა დრაჟენ ბრაიკოვიჩი საქართველოს ნაკრებში? კალათბურთის ფედერაცია თვის ბოლოს აღმასკომს შეკრებს და ეს საჭირობოროტო საკითხიც იქ გაირკვევა.

## ერთის, ბიჭებო, ერთის!

დარჩა სუთმი, მგი, რთელუის ფრეს უნიკლება



გადრი კათილაძის ფოტო

ბოლო ხანს ისე აენყო, რომ ქართულ ფეხბურთს, უფრო ზუსტად, საევროპო ქართულ ფეხბურთს მთლად აღმაცერად აღარ ვუყურებთ. სანაკრებო და საკლუბო რამდენიმე შედეგიანმა თამაშმა მოიტანა იმედი, ეგებ რამე ეშველოს ჩვენს ფეხბურთს.

აგერ, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმაც გუშინ ფრით დაასრულა ბერძნებთან თამაში და ახლა ქულალა სჭირდება ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად. ამ ერთი ქულის მოპოვება კი არც ისე უსაშველო ჩანს. ისიც ჩანს, რომ კარგი თაობა მოდის — კარგად თუ უპატრონებ.



გადრი კათილაძის ფოტო



იტალია

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like სერია A, III ტური, ატალანტა, ჰელანტი, etc.

სერია B, III ტური

საპროფესიონალი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like პრიმერა დივიზიონი, IV ტური, ალბანია, etc.

საფრანგეთი

I დივიზიონი, VII ტური

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like რენი, ბასტია, კაენი, etc.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like მონაკო, ლიონი, ლილი, etc.

II დივიზიონი, IX ტური

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like ანჟო, შატოურა, მონაელი, etc.

სახიფათო მუდრაბიონი

ბიფოზები საერთო გუნდს დაერივნენ

ამ შუა კვირის ტურებში რამდენიმე ისეთი ანგარიში გამოერია, ბარე ორს მომდევნო კვირამდე რომ წაუხდენს ხასიათს.

გნებავთ იტალიით დავიწყეთ, სადაც ტურის მთავარ სენსაციად „მილანის“ მარცხი გახდა. თან ვისთან — სერია A-ში 39-წლიანი განშორების მერე აღზევებულ „მესინასთან“ და სად — მშობლიურ „სან სიროზე“.

და რაკი იტალიაზე ვსაუბრობდით, ბარემ ვთქვით, რომ სერია B-ს „ბარის“ სამშაბათს „ჩეზენასთან“ ნაშოვნი ერთი ქულა ჩამოერთვა — თამაშისას მუდრეგმა ბარელომა ფანმა მოედანზე მასხალა ისროლა და ჩეზენელი მეკარე ისე დააშავა, საავადმყოფოში წასაყვანი გახდა.

ესპანეთში კი, როგორც გამოჩნდა, მეტად ხანმოკლე იყო „ესპანოლისთვის“ ლიდერობით ტკობა.



დებორტიეო — ვალენსია. სტუმართა ხუთი გოლიდან ერთი ფრანსისკო რუფეტემაც (მარცხნივ) გაიტანა



ლანსი — მსკ. პარიზელთა მწვრთნელმა ვაჰიდ ჰალილოვიჩიჩმა ასკ-ს ფანებს სიმშვიდისკენ მოუწოდა



„შალკეს“ სიხარულში ლევან კობიაშვილის წილიც იყო, მეკარე თომას ერნსტს ერთი პენალტი მანაც გაუტანა



ინგლისი

ჩემპიონატი გადადგმული გატანი მილუოლი 3:1 დორი ძაუნთი ლიგის თასი, II ეტაპი ასტონ ვილა 3:1 ძუნის პარკი პლემბერი 3:3 დედფილდ, 22) პრემიერი გოსტონი 1:4 ფულემი პრისტონი 2:2 დედფილდ, 22) ეპირთონი ძოვეთერი 1:0 შიფილდ უანდი ნორთჰამპტონი 0:3 საუნთჰამპტონი ნოტიუნგემი 2:1 დედფილდ, 22) რუტარჰემი ოლდემი 0:6 ტოტენჰემი

შოტლანდია

ლიგის თასი, VIII ფინალი დანფერმლინი 3:1 პარტიკი აბერდინი 0:2 რეინჯერსი ალბიონი 1:3 კიპერინი პარტიკი 2:1 კილმარნოკი ინვერნესი 1:3 მიუზიკი

ფინეთი

ფეიკაუსლიგა, XXV ტური ალიანსი 0:0 ტამპერე

უგანდა

ალსკენსკა, XXI ტური ტრელეგორბი 0:4 ჰალმსტადი ჰამარბი 0:1 იორგრიტა ლანდსკრონა 3:2 სუნდსვალი

უგანდა

სუპერლიგა, IX ტური გრასპოპერი 1:1 აბრაუ შაფაპუანი 2:1 ციურინი სინტ ბალენი 1:1 სერვითი თუნი 4:1 ბაზალი ძამბასი 3:1 ინგო გოისი

ჩეხეთი

ლეჰეჰლიგა, IX ტური ლუცინი 5:1 ვილი მიირინი 2:0 გოლში ვაღუცი 1:0 ბალინტონა ვინტარტური 2:2 შო დი ფონი ივირლონი 1:0 ბადენი კიასო 1:0 სიონი კონკორდია 1:2 ბუღი ლუბანო 1:0 ვოლანი

სერბეთი

პრვა ლიგა გადადგმული გატანები ცრვინა ზვიზდა 4:2 ოჟკ შელეზნიკი 2:2 ვოივოდინა

გერმანია

თასი, VII ფინალი ბაიერი (შ) 2:1 ალბანია აინტრახტი 4:2 დედფილდ, 22) ფიურტი კოტუსი 2:2 დედფილდ, 22) პანოვი ბრაუნშვაიგი 3:2 პორტა ლაუტარნი 4:4 დედფილდ, 22) შალკე ობერჰაუსენი 0:2 შტუტგარტი კიულენი 3:3 დედფილდ, 22) ჰანზა დორტმუნი 3:1 უნტერჰაინი ვერდერი 3:2 ლიპერჰაუსენი

სლოვენია

სი მოგილ ლიგა, VIII ტური დრავა პტუი 2:1 ზაგორიი დოგოლა 1:2 პრიმორი კოპარი 0:0 მურა ლიუბლიანა 1:2 მარიბორი პუბლიკუმი 2:0 ბილა კრინა ნოვა გორიცა 2:0 ოლიმპია

პორტუგალია

სუპერლიგა გადადგმული გატანი პორტუ 1:1 ლიონია

დანია

სუპერლიგა, IX ტური ოლგორბი 3:0 რანდისი ბრონდოპი 0:0 ნორდსილანდი ისგიბორგი 2:4 ოდენსე კოპენჰაგენი 2:1 ორჰუსი მიდტიულანდი 1:1 ვიგორგი სილკეპორბი 2:4 პარფიოლგა

I დივიზიონი

გადადგმული გატანი აკადემიკი 1:2 ფრიში თასის I ეტაპი აპარტა 0:0 (პენ. 5:4) ბ-93

პოლანდია

თასი, II ეტაპი რუდა 3:0 ეძალსიორი დენ ჰაბი 3:0 დედფილდ, 22) ვოლო ბრონიგანი 1:2 დედფილდ, 22) პრეშა ნაიბაგენი 4:0 როზანდალი დენ გოსნი 8:0 კიპ 20 ტვენტო 3:0 ბარონი პელგონდი 3:1 დი ტრაფარსი ადო 3:0 როჟა რაბალტი

ნორვეგია

თასის ნახევარფინალი სტაბიკი 1:3 დედფილდ, 22) პრენი



# ჩვენებს ზრახ ააზრახს

ქართველმა 17-წლამდელმა ფინეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე მეორე მატჩი ბერძნებთან ჩაატარეს, ქულა გაიყვეს და ლიდერებად დარჩნენ. ახლა სატურნირო ვითარება იმგვარია, რომ ბოლო მატჩში, მასპინძლებთან, ჩვენებს ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ჰყოფნით, რაკი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი გუნდი გადის.

საბერძნეთი ჯგუფის ფავორიტად ითვლებოდა და ამდენად ჩვენებისთვის ეს მატჩი უფრო მძიმე გამოცდა იყო, ვიდრე პირველი თამაში, რომელშიც იოლად გაუსწორდნენ აუტსაიდერ მაკედონიას. თანაც საქართველოს ნაკრებს ტრავმების გამო სასტარტო შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა, ამერელები გიორგი ელბაქიძე და დავით მჭედლიშვილი

გუშინ ნამატჩევს ნაკრების მთავარ მწვრთნელს თამაზ კოსტავას შევეხმიანეთ...

— პირველ ტაიმში უპირატესობა ბერძნებს ჰქონდათ. იმას ვგულისხმობ, რომ ბურთს მეტხანს აკონტროლებდნენ, თორემ საზიფათო მომენტები ვერ შექმნეს, ჩვენი მეკარე ფაქტობრივად უსაქმოდ იყო. ჩვენ კი ერთი ძალიან კარგი მომენტი გვქონდა — გიორგი ნიკოლაიშვილმა რეზო ბარაბაძე კარის წინ გაიყვანა, მაგრამ ვერ გავიტანეთ, ბარაბაძეს მიმართულა უკეთ რომ შეერჩია, მეკარე იმ ბურთის ამღები არ იყო.

მეორე ტაიმში კი უკვე ჩვენ ვჯობდით და ბოლო 15-20 წუთი, რომ იტყვიან, თავზე ვაჯექით. იმ დროს მჭედლიშვილიც შევუშვით მოედანზე — ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა და სასტარტო შემადგენლობაში მისი ყოფნა არ გავრისკეთ — მისი შესვლით ჩვენს იერიშებს სიმწვავე მოემატა.

— რაკი ბოლოსკენ უკეთ ითამაშეთ, გამოდის, რომ გამძლეობა ჩვენს ფეხბურთელებს უკეთესი აღმოაჩნდა...

— კი, ეგრე და ეს ძალიან მახარებს. გუნდი საუკეთესო ფიზიკურ ფორმაშია.

— თამაშის წინ გუნდს რა და-

ვალება მიეცით? მაკედონია და საბერძნეთი სხვადასხვა ძალის გუნდებია...

— ოღონდ გოლი არ გავუშვითო, არ მითქვამს. იგივე განწყობა გვქონდა, უნდა შეგვეტია, თუმცა ფრე რომ ვითამაშეთ, უკმაყოფილო არ ვარ.

— მესამე მატჩში ფინელებთან ფრეც გვყოფნის...

— გუნდი, ცხადია, მოედანზე მოსაგებად გავა, თან მჭედლიშვილი თავიდანვე შეძლებს თამაშს. მაგრამ რადგან მთავარი ჯგუფიდან გასვლაა, არც ფრეზე ვიტყვით უარს. თამაზ კოსტავასთან საუბრის მერე გიორგი ელბაქიძეს და დავით მჭედლიშვილს გავესაუბრეთ...

გიორგი ელბაქიძე: „მუსლი მატქვს გასიებული და ფეხის მოხრა მიჭირს, თუმცა სირბილის დროს არ მტკივა. გუშინდელთან შედარებით დამიცხრა კიდევ და იმედი მატქვს, ფინეთთან ვითამაშებ.“

დავით მჭედლიშვილი: „დავაკლდი თუ არა გუნდს, ჩემგან ამაზე ლაპარაკი უხერხულია. მე იმის თქმა შემიძლია, რომ ტრავმა აღარ მაწუხებს, ბოლო მატჩში ალბათ სასტარტო შემადგენლობაში ვიქნები და თავს არ დავზოგავ, ჯგუფიდან უნდა გავიდე.“

### ირაპლი ნინიძე

საქართველო	2	1	1	0	4:1	4
საბერძნეთი	2	1	1	0	2:1	4
ფინეთი	2	1	0	1	4:4	3
მაკედონია	2	0	0	2	3:7	0

**საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობა**  
თევდორაძე, ფირანიშვილი, მამიაშვილი, ნასრაშვილი (შერმადინი 41), ნიკოლაიშვილი, განუგრაფა, იაშვილი (მჭედლიშვილი 68), გოცირიძე, ნინაძე-ძღვრიშვილი, ბარაბაძე, დარასელია



მატჩი ურაგვის (მარჯვნივ) მიმია ჩიქიაც არაერთხელ გაუწვავლებია

ერთი კვირაც და თბილისის „დინამოს“ კრაკოვის „ვისლა“ ესტუმრება! უფფას-თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „დინამოს“ 1:0-იც ჰყოფნის და შემოდგომაზე საოცნებო ევროპულ ფეხბურთს ვნახავთ.

„ვისლა“ უკვე საქმეშიც არაერთხელ ვიხილეთ და ინფორმაციის ნაკლებობასაც არ ვუჩივით, თუმცა პოლონურ „პლოცკში“ მოთამაშე მამია ჯიძიძის აზრიც არაა უინტერესო. მამიას გუშინ შევეხმიანეთ და თავიდან მისი ამბები გამოვკითხეთ...

# ვისლას ანოსანას პირველი გოლი ანოსნის

— ახალ გუნდს როგორ შეეწყვე?

— პრობლემა არ მქონია, თავს უკვე აქაურად ვთვლი.

— ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა რომ გიჭირს?

— მწვრთნელთან მქონდა მცირე უთანხმოება და...

— კერძოდ?

— განსაკუთრებული არაფერი. სამი-ოთხი კვირის წინ შევკამათდით, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი კარგადაა.

— ყველაფერი კარგადაა, ამბობ და, შეცვლაზე რამდენიმე წუთით თამაში გაკმაყოფილებს?

— არ მაკმაყოფილებს, მაგრამ ალბათ მალე ამასაც ეშველება.

— ასეთს რას სთხოვდი მწვრთნელს?

— არაფერსაც არ ვთხოვდი. ერთი თამაშის ირგვლივ იყო რაღაც ლაპარაკი და...

— შენ დაგაბრალებს რამე?

— არა, რას ამბობ?! უბრალოდ, თამაშს ვარჩევდით და მწვრთნელს მოულოდნელად ის ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი. ხომ იცით, მწარე სიმათებაც ამას მოჰყვა, მაგრამ სულაც არ ენერვიულობ. უკვე ყველაფერმა ჩააარა.

— კეთილი. თბილისის „დინამოს“ კრაკოვულ მატჩს ნახავდი...

— რა თქმა უნდა, ვნახე და პირველი ტაიმი ძალიან მომეწონა.

არ მეგონა, „დინამო“ ასე თუ ითამაშებდა.

— შენი აზრით, რა მოხდა შესვენების შემდეგ? როგორ შეძლო „ვისლამ“ ამ თამაშის გადარჩენა?

— „ვისლა“ სულ ასე იგებს თამაშებს, გამოუცნობი გუნდია. „ამიკაში“ რომ ვთამაშობდი, მაშინაც ასე მოულოდნელად გვიგებდა — ხშირად ბოლო წუთებზე გვიტანდა გოლებს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან ხშირად იჭერს ხოლმე 5-10 წუთიან მომენტებს და ამას იყენებს. ასე იყო „დინამოსთანაც“ — ხუთ წუთში სამი გოლი გაიტანა და თამაშიც გააკეთა.

— „დინამოს“ რა შეეძლო მეორე ტაიმში?

— ჩვენები 2:0 რომ დაწინაურდნენ, არ ეგონათ, ასე თუ შეუბრუნდებოდათ საქმე. ალბათ კონცენტრაციაც დაკარგეს და ფიზიკურადაც ვერ შეინარჩუნეს პირველი ტაიმის ტემპი. „ვისლას“ პირველი გოლის მერე კი ფსიქოლოგიური ფაქტორიც ამუშავდა და...

— მოკლედ რომ ვთქვათ, 3:4 „დინამოსთვის“ კარგი ანგარიშია?

— რა თქმა უნდა. ვინმეს რომ შეეთავაზებინა, ამ ანგარიშს „დინამო“ თამაშის წინ დაუფიქრებლად აიღებდა. გულდასაწყვეტი ისაა, რომ ორბურთიან უპირატესობას ფლანგავ...

— პოლონეთში რა გამოხმაურება ჰქონდა ამ მატჩს?

— ყველას გაუკვირდა, საქართველოს ჩემპიონს ცალი ფეხით მოეგუეთ და მესამეადგილოსანმა ნერვები როგორ დაგვაწვიტათო. აქ თავიდანვე ამბობდნენ, „დინამო“ „ვიტჯორჯიაზე“ ძლიერი გუნდიაო. „ვისლასაც“ ეტყობოდა, რომ პირველ ტაიმში არ ელოდა თბილისელებისგან ასეთ წინააღმდეგობას.

— ახლა რას ამბობენ საპასუხო მატჩზე?

— ყველა დარწმუნდა, რომ „დინამოსთან“ უბრძოლველად ვერაფერს მიადწევნენ. ემინათ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან მობილიზებულიები რომ არიან, ფაქტია. შეიძლება ითქვას, გაურკვეველობაში არიან და ამის გამოყენება შეიძლება. მთავარია, „დინამომ“ პირველი ბურთი გაიტანოს. ამ დროს „ვისლა“ იბნევა და ეს მომენტი უნდა დავიჭიროთ.

— შანსებზე რას იტყვი?

— ჩემი აზრით, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის მეტი შანსი „ვისლას“ აქვს, მაგრამ თუ „დინამომ“ პირველი გოლი გაიტანა, მაშინ პოლონელებს ძალიან გაუჭირდებათ. თბილისში მანც სხვა თამაში იქნება და „დინამომ“ უპირატესობა არ უნდა მისცეს მეტოქეს. დარწმუნებული ვარ, თუ „ვისლამ“ გახსნა ანგარიში, შეინარჩუნებს კიდევ. ძალიან გამოცდილი და საშიში გუნდია, თან მწვრთნელიც ძალიან ჭკვიანი ჰყავს.

კახა შალაგზირიძე



დავით მჭედლიშვილმა თამაშს ხელი 12 წუთშიც დაატყო

# აშვეთია გურთს გაისამდე ვერ გაეპარება



უიღბლობით გატანჯულ მიხეილ აშვეთიას დიაგნოზმა უმტყუნა. სამი დღის წინ ვოლგოგრადის „როტორთან“ დაშავებული ქართველი თავდამსხმელი წინასწარი ვარაუდით დიდი-დიდი ერთი თვე ჩამოშორებოდა ფეხბურთს, მაგრამ გუშინდელი გამოკვლევისას ექიმებმა სასიკეთო ვერაფერი თქვეს — აშვეთიას ტრავმა ძალიან სერიოზული გამოდგა — ფეხის მეხუთე პოლუსური ძვლის მოტეხილობა. სამედიცინო ტერმინოლოგიით ნათქვამი უბრალო ენაზე ასე იშვირება: მიხოს ფეხის თითის სრტილთან დამაკავშირებელი ძვალი აქვს მოტეხილი. აშვეთიას ოპერაციას დღეს გაუკეთებენ მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში და, მედიკოსთა თქმით, აღდგენით პროცედურებს, სულ მცირე, ორი-სამი თვე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს,

რომ მიხოსთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაცი იური სიომინი. მას ხომ გუნდში ჯანმრთელი თავდამსხმელი არ დარჩა — აშვეთიას გარდა ტრავმირებულიები არიან დმიტრი სიჩოვი და ჯეიმს ობიორა.

შევასწენებთ, რომ აშვეთიასთვის ეს სეზონი საშინლად უიღბლო გამოდგა. აგვისტოს დასაწყისში ჩვენებური ორ მეტოქესთან შეჯახების მერე კარგა ხანს საავადმყოფოში იწვა. დიაგნოზი მაშინაც ურთულესი იყო — ტვინის შერყევა და მეხსიერების დაკარგვა. ამის გამო მიხოს თვეზე მეტი გაუცდა და სწორად „როტორთან“ მატჩში დაუბრუნდა მოედანს, მაგრამ...

კახა შალაგზირიძე



# ეხთი თავი დაუნეხედი ნიგნიცაში

## სტორიკოვი და ლეჩკოვი გაგებამი არ არიან

### ზაიმი საგაზათო ჩირაღდნებით

ღირსსახსოვარი მატჩები საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ძალიან ცოტა თუ ჰქონდა. ახლაც ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რომელი იყო საქართველოს ნაკრების საუკეთესო თამაში და ასეთ დროს დაძაბული ტვინი მყის საქართველო — ბულგარეთს იხსენებს...

ჩვენ 1992 წელს გავწევრიანდით ფიფა-უეფაში, ხოლო შესარჩევ ციკლში პირველად 1994 წელს ჩავებით ევრო 96-ის საკვალიფიკაციო რაუნდით. მაშინ ჩვენი მეტოქეები ჯგუფში გერმანია, ბულგარეთი, უელსი, ალბანეთი და მოლდოვა იყვნენ. საქართველოს ნაკრებმა ხუთი მატჩი მოიგო, ამდენივე წააგო და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა.

ბულგარეთთან თბილისში მაშინ მოგვინია თამაში, როცა ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ჩვენთვის გადანურული იყო, ბულგარეთს კი განადგებული ჰქონდა მეორე ადგილი, ოღონდ ინგლისში წასასვლელად საუკეთესო მეორეადგილოსნებში უნდა მოხვედრილიყო, რადგან მეორეებში ორ ნაბოლარას ერთმანეთში საპლეიოფო გადათამაშება უნევდა. ასე რომ, საქართველო — ბულგარეთი მთლად უმოტივაციო მატჩი არ იყო.

... გიორგი ლულუშაშვილი მაშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ხანდახან ეროვნულშიც ინვედენ და ბულგარეთთან თბილისურ მატჩშიც ითამაშა. ის შეხვედრის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო და ამ მართლაც დაუვინყარ მატჩზეც ის მოგითხრობთ.

#### დავით თაგარტიძე

მაშინდელი ჩვენი ეროვნული ნაკრები ინდივიდუალისტებით უფრო გამორჩეული გუნდი იყო, ვიდრე შემდეგ პერიოდში. თუმცა ამავე დროს საქართველოს ნაკრებში ძალიან ცოტა იყო ისეთი ფეხბურთელი, ვინც კარგ ევროპულ გუნდში თამაშობდა და ასეთ დროს ბულგარეთთან კახა ცხადაძე გამოვკვალდა ტრავმის გამო. გვეგონა, ეს ძალიან უარყოფითად იმოქმედებდა ჩვენზე, მაგრამ ის დღე ჩვენი თამაშის დღე გამოდგა.

როცა ბულგარელები მატჩის წინ მოთელვაზე გამოვიდნენ, ეტყობოდა, რომ ქედმაღლურად გვიყურებდნენ. იმ შესარჩევ ციკლში ბულგარელებს ვერ გასვლაზე ვეთამაშეთ და 0:2 წაგავით. რევანშის წყურვილი სტიმულს გვმატებდა, თანაც ძალიან გვინდოდა ისეთი გუნდის დამარცხება, სადაც ხრისტო სტოიჩკოვი, კრას-

მირ ბალაკოვი, ემილ კოსტადინოვი, იორდან ლეჩკოვი და ტრიფონ ივანოვი თამაშობდნენ.

ჩვენი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე ძალიან გვამხნეებდა, ბულგარეთში არწასაგები თამაში წავაგეთ და ახლა კი ნაღდად უნდა მოვიგოთო. ასეთ მაღალ დონეზე სათამაშოდ გამოუცდელი ვიყავი, თანაც მაშინ 21 წლის გახლდით და ჩივაძე ცდილობდა, ჩემთვის დაძაბულობა მოეხსნა, მითხრა, სტოიჩკოვი და ბალაკოვი ხშირად შენ ფლანგზე გადმოდიან, მაგრამ ისინი თამაშის გაგებაში არ არიან, შენ უფრო მაგარი ხარო. ჩივაძის ამ ნათქვამს, ცხადია, სიცილი მოჰყვა.

მიუხედავად ყველაფრისა, ძლიერი ნერვები აღმომაჩნდა და ბულგარეთთან ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე ვითამაშე. იმ დროისთვის გერმანული რევიონალიზმის „ხალმრელში“

საქართველო /ნა.ნაპარ/ ზულგარეთი /ნა.ნაპარ/

1 50 აკვიდაძე შ.  
48 50 ქინქლაძე  
88 50 სტორიკოვი

N11 სპ  
N10 სპ  
N 8 ზულ



გიორგი ლულუშაშვილი და გიორგი ჩიხრაძე ემილ კოსტადინოვი კარგად ამოყეტეს

1995 წლის 11 ოქტომბერი  
ევროპის ჩემპიონატის  
შესარჩავი ეტაპი  
მ-7 ჯგუფი

საქართველო 2:1 ზულგარეთი  
საქართველო: ზოიძე, კუდინოვი, ჩიხრაძე, შელია, ნემსაძე, ლულუშაური (ბერაძე 82), გოგინიაშვილი, ქინქლაძე, ჯამარაული (გ. კილასონია 74), ა. არველაძე (ყაველაშვილი 46), შ. არველაძე  
ზულგარეთი: მიხაილოვი, ივანოვი (ჩოლაკოვი 58), იანკოვი, ცვეტანოვი, კირიაკოვი, სირაკოვი (ბორიმიროვი 51), ლეჩკოვი, ბალაკოვი, სტოიჩკოვი, პენევი, კოსტადინოვი

მის აბალანძის ფოტო

მომენტი, ვინც კილასონიამ სულაც ძელს გაართვა ბურთი. თამაში ფაქტობრივად უკვე მოგებული გვექონდა, მაგრამ ჩივაძე მაინც ძალიან ნერვიულობდა, სულ ფეხზე იდგა და მითითებებს გვაძლევდა.

ჩემს ფლანგზე ბულგარელთაგან ერთი რომელიმე ფეხბურთელი არ თამაშობდა, სხვადასხვა ფეხბურთელის წინააღმდეგ მიწვევდა თამაში. ერთხელ სტოიჩკოვიც მოვატყუე და საერთოდ გახსნილი თამაში წავიდა და ფლანგები კარგად გამოვიყენეთ. ერთი ეგაა, კუთხურის ჩაწოდება ვერ შევძელი — რამდენჯერაც ეს დავაპირე, ქინქლაძე მოვიდა ჩემთან და მთხვავა, კუთხური გავათამაშოთო.

მატჩის მიწურულს სტოიჩკოვმა მაინც გაგვიტანა გოლი, მაგრამ თამაშის შემორუნების შანსს მეტოქეს არაფრით არ მივეცემდით.

დამთავრდა თამაში და ძალიან გავიხარეთ. გულშემატკივრებმა გაზეთებს ცეცხლი წაუკიდეს და ასეთი ჩირაღდნებით ზეიმობდნენ გამარჯვებას. იმ მომენტში კარგად ვერ ვანალიზებდით, თუ რა მოხდა, მერე და მერე უფრო მივხვდით, თუ რა თამაში მოვიგეთ.

ვთამაშობდი და ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდი კლუბშიც. „ხალმრელში“ ფაქტობრივად თავდამსხმელი ვიყავი, ბულგარეთთან კი ჩივაძემ მარჯვენა ფლანგის კონტროლი დამავალა.

გოლი სწრაფად შევავდეთ და ამან მატჩის მსვლელობაზე და შედეგზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა — გოჩა ჯამარაულმა მეტოქე მოაწყუა, შოთა არველაძე გამჭოლი პასით მეკარეს შეატოვა, შოთამაც მოხდენილად ჩამოიცილა ბორისლავ მიხაილოვი და გაიტანა. ამან თითქოს ფრთები შეგვასხა, გულშემატკივარიც მაგრად დაიმუხტა, ხალხის დიდ მხარდაჭერას მთელი მატჩის განმავლობაში ვგრძნობდით, თუ პატარა შეცდომა მოგვივიდოდა, გულშემატკივრისგან არანაირ აგრესია არ ყოფილა, პირიქით, ქომაგი სულ გვამხნეებდა. ჩვენც გატანილი გო-

ლის შემდეგ მეტოქეს, როგორც იტყვიან, არ მოვეშვით. შოთას კიდევ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ თვითონ არ დაასრულა კონტრშეტევა, ტყუპისცალს გადააწოდა ბურთი და მეტოქეს მცველმა გადაცემა ჩაჭრა.

შესვენებაზე ჩივაძემ გვითხრა, ასე გააგრძელებით და მართლაც ასე მოხდა — თამაში ჩვენ მიგვეყავდა, არც ერთი ჩვენგანი არ „აჭრილა“. მეორე გოლი ასე გავიტანეთ: კახა გოგინიაშვილმა ჩინებული დრიბლინგით მეტოქის მეკარემდე მიაღწია და ისე ოსტატურად წაიქცა მიხაილოვთან ორთაბრძოლაში, რომ მსაჯი უბრალოდ იძულებული გახდა, 11-მეტრიანი დაენიშნა, რომელიც გიორგი ქინქლაძემ გაიტანა.

მეორე გოლის შემდეგ უფრო თავისუფლად ავთამაშდით. კიდევ შევქმენით რამდენიმე საგოლე



ხრისო სტოიჩკოვი თბილისიდან უგოლოდ არ წავიდა



კრასიმირ ბალაკოვს ლულუშაური და ჩიხრაძე ვარდნაშიც არაფერი დაუთმეს



# ნასტკვენა რეალმა რემონს გაასინჯა

**საქართველო**  
პრემიერლიგის IV ტურის  
რეალი 1:0 მასსუნა

1:0 ბექემი (61)  
რეალი: კასილიასი, მენია, ი. ელგერა, რა-  
ულ ბრაუ, რობერტო კარლოსი, ფი-  
გუ, ბექემი, სელადესი, სოლარი (მო-  
რიენტესი 11), რაული (ზოტა 87), რონა-  
ლდო (ოუნი 80)  
მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი  
მასსუნა: სანსოლი, კორალესი, კუელი-  
არი, ესპოზიტო, ხოსეჩო, მობა (დელო-  
რტი 72), პაბლო გარსია, პუნიალი (ორ-  
ტისი 66), ვალდო (მუნიოსი 61), ალოი-  
ზი, მილოშევიჩი  
მწვრთნელი: ხავიერ აგირე  
გაფრთხილება: ესპოზიტო, ალოიზი, ხო-  
სეჩო, ბექემი  
მსაჯე: რამირეს დომინგესი  
50 000 მაყურებელი

ლის“ არცთუ სანახაობრივი და და-  
მაჯერებელი თამაში იყო, ცალკე  
კი იმის ნიშანი, რომ ხალხი ფეხ-  
ბურთელების ამპარტავნობას აბრა-  
ლებს ხოსე ანტონიო კამაჩოს გა-  
შვებას. ასე მაგალითად, როცა რო-  
ბერტო კარლოსი მოედანზე გავი-  
და, სტვენა ატყდა და როცა რობე-  
რტო კარლოსი ბურთს პირველად  
შეხვო, ხალხმა მაშინაც დაუსტეი-  
ნა. ბრაზილიელს ასეთ პრეტენზი-  
ას უყენებენ: ამას წინათ, კამაჩოს  
რადაც მიზეზით მაგიდაზე მუშტი  
დაურტყამს, ბრაზილიელმა კი ამის  
თაობაზე ურნაღისტებს უთხრა,  
მაგ საქციელით ან ხელს იტყენ,  
ან მაგიდას ვატყებ, მეტი არაფერი  
გამოვაო. გულშემატკივრებმა კი კა-  
მაჩოს საქციელი მართებულად ჩა-  
თვალეს, რობერტო კარლოსის კო-  
მენტარი — მამაძალლობად და სტ-  
ვენაც ამიტომ აუტყეს.

თუმც ისიც ვთქვათ, რომ „ბერ-  
ნაბეუს“ ტრიბუნებს რამდენჯერმე  
ტაშაც მოსწყდა — როცა რაულმა  
ძელს გაარტყა, ბექემმა გოლი გა-  
იტანა და მატჩის მიწურულს, როცა  
შეცვლილი რაული ასევე ტაშით გა-  
აცილეს. ეს ტაში იმის ნიშანი ყო-  
ფილა, რომ შხად ვართ, ყველაფე-  
რი გაპატიოთ და დავევიწყოთ.  
ბექემის გოლი კი მართლა დი-  
დებული იყო: ინგლისელმა 25 მე-



მატჩის ერთადერთი გოლი დევიდ ბექემმა ჩარიმიდან შეაგლო



ტრიდან უზადოდ შეასრულა სა-  
ჯარიმო დარტყმა. იქამდე კი, მა-  
ტჩის დაწყებისას, რობერტო კარ-  
ლოსის გარდა, სტვენის მიზრდი-  
ლი უღუფა მასაც ერგო. ხოლო  
ნამატჩევს ბექემმა თქვა: „ყველანი  
ძალიან დიდი წნეხის ქვეშ ვიყა-  
ვით. კარგად არ გვიტამაშია, მა-  
გრამ რაც მთავარია, შედეგს მივა-  
ღწიეთ და გუნდური ერთსულე-  
ნება იგრძნობოდა“.

აქამდე ერთხელაც არ გვიხსენე-  
ბია „რეალის“ ახალი მწვრთნელი  
მარიანო გარსია რემონი, რომელმაც  
პირველად გაიგო გამარჯვების გე-  
მი. მან თქვა: „სიმართლე ვითხრაო,  
არ შემიძლია იმ ემოციის სიტყვებ-  
ით გადმოცემა, რომელსაც ახლა  
განვიცდი. თამაში მოვიგეთ და ეს  
უპირველესად იმ დიდი მუშაობის  
შედეგია, რაც ხოსე კამაჩომ ბო-  
ლო დროს გასწია. ამისთვის ყვე-

ლანი მისი მადლობლები უნდა ვი-  
ყოთ. მე ვიცი, როგორც განიცდის  
ხოსე იმას, რაც მოხდა. თამაშის  
წინ ფეხბურთელებს ვუთხარი, რო-  
გორც მწვრთნელს არასდროს არა-  
ფერი მომიგია და თქვენი იმედი  
მაქვს, ეს გრძნობა განმაცდევინეთ-  
მეთქი. როცა ბიჭებს მოედანზე ვუ-  
ყურებდი, მიხაროდა, რომ თავს არ  
ზოგავდნენ“.

კობე აბაძია

# მადრიდი, ოდესელი კატა და თბილისი გაიხსენათ გარსია რემონი



მარიანო გარსია რემონი ახლა და ყმაწვილუკობაში

„რეალი“ გარსია რემონს ჩაბარდა. ვინ არის და სა-  
იდან მოვიდა გარსია რემონი? მას „რეალში“ არსაი-  
დან მოსვლა არ სჭირდებოდა, ხოლო დანარჩენი  
თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელებმა  
გაიხსენონ, მათ, ვინც 1981 წელს თასების მფლობე-  
ლთა თასის მოგების შემდეგ, 1982-ში „სანტიაგო ბე-  
რნაბეუზე“ ოთხთა ტურნირზე ითამაშეს

ლიანს, საუბარია იმ შეხვედრა-  
ზე, როდესაც მადრიდელმა მცვე-  
ლმა გოიკოჩეამ „დინამოს“ ლი-  
დერი ყიფიანი დააშავა და საუბარ-  
ია იმ მეკარეზე, რომელიც მაშინ  
„რეალის“ კარს იცავდა. თუ გნე-  
ბათ სხვანაირად ვთქვათ: საუბარ-  
ია „სამეფო გუნდის“ იმ გოლკი-  
პერზე, რომელიც 1981 წლის 4  
მარტს, თბილისში, მაშინდელ ვ. ი.

ლენინის სახელობის „დინამოს“  
სტადიონზე მოსკოვის სპარტაკე-  
ლთა დარტყმებისგან იცავდა კარს  
— „სპარტაკი“ გაზაფხულსა და  
შემოდგომაზე, ფეხბურთისთვის შე-  
უფერებელ მოსკოვურ ავდარში  
თბილისში „მასპინძლობდა“ ხოლო  
მეტოქეებს — და საუბარია სპორ-  
ტსმენზე, რომელიც სანტილიანას,  
ხუანიტოს, უგო სანჩესის, ბუტრა-

გენიოს, კამაჩოს და სხვა ვარსკე-  
ლავების ეპოქაში, მათთან ერთად  
იმარჯვებდა ესპანეთის ჩემპიონა-  
ტში (1972, 75, 76, 78, 79, 80),  
სამეფო თასზე (1974, 75, 80, 82)  
და უეფას თასზე (1985, 1986).

გარსია რემონმა საფეხბურთო მო-  
ღვაწეობა ბავშვობიდან, ოღონდ  
ჯერ „რაიო ვალეკანოში“ დაიწყო.  
15 წლისა „რეალმა“ იყიდა, ოღონდ  
გამოცდილებისთვის ჯერ „ტალა-  
ვერაში“ გაუშვა, მერე კი „ოვიე-  
ლოში“. 1971 წელს გარსია რემონმა  
უკვე „სამეფო გუნდში“ ითამაშა  
პირველად და 1986 წლამდე „თეთრ  
ძელებს“ შორის იდგა.

ახლა კი იმაზე, თუ რატომ შეა-  
რქვეს გარსია რემონს „ოდესელი  
კატა“. ეს იყო 1973 წლის 7 მარტს,  
როდესაც „რეალმა“ კიევის „დინა-  
მოსთან“ ოდესაში, ჩერნომორეცის  
სტადიონზე ითამაშა. შეხვედრა გა-  
ხლდათ მეოთხედფინალური, შეჯი-  
ბრება — ჩემპიონთა თასი ანუ ის,  
რაც ახლა ლიგაა. შედეგი — 0:0.  
კიეველი თავდამსხმელები გაორ-  
მაგებული ძალით უტევენდნენ, გარ-  
სია რემონი კი აკრობატული ნახ-  
ტომების იმტაზე მოსულიყო და გო-  
ლიც არ გაუშვა. საპასუხო თამაში  
„რეალმა“ 3:0 აჯობა კიეველებს.

და კიდევ: თანამედროვე „რეა-  
ლთან“ ირიბად კავშირშია ისიც,  
რომ ჩვენს მიერ ზემოხსენებულ  
დღეს, 1981 წლის 4 მარტს, თბილ-  
ისში, „სამეფო გუნდის“ შემადგენ-  
ლობაში, „სპარტაკთან“ ითამაშა მა-  
დრიდელთა კიდევ ერთმა მწვრთ-  
ნელმა, ვისევე დელ ბოსკემაც, ხო-  
ლო მოსკოველთა შორის ორი ძმა  
მაჩაიძე, მანუჩარი და გონა რომ  
იყვნენ, ამ ისტორიასთან საერთოდ  
აღარ არის დაკავშირებული. ეს ისე,  
ჩვენთვის...



ბაბუნა კვიციანი

# რეალი ჰიფოლდს უმიზნებს


მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი მომა-  
ვალი სეზონიდან შეიძლება ფლორენტიანო პერესის „რეალის“ დამრიგე-  
ბელი გახდეს. როგორც ამას გერმანული „ბილი“ გაამცნობს, ჰიცფე-  
ლდის კანდიდატურას მადრიდში სერიოზულად განიხილავენ და ბავა-  
რიული გიგანტის ოდინდელი მეთაურიც „სამეფო კლუბის“ მწვრთნელ-  
ობის პერსპექტივით ვინძლო, მთლად უკმაყოფილო არ უნდა ჩანდეს.  
„მომავალ გაზაფხულს „რეალთან“ დაკავშირებით ბევრი რამ შეიძლება  
შეიცვალოს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამის შესახებ გადა-  
ჭრით ვერაფერს ვეტყვით — თქვა ჰიცფელდმა.

კასტილიური გრანდიდან ხოსე ანტონიო კამაჩოს წასვლის მერე „რეალს“  
გარსია რემონი თავაკობს, პრეზიდენტი პერესი და მისი გარემოცვა კი  
მწვრთნელთა სავარაუდო კანდიდატთა სიაზე მუშაობენ — ჰიცფელდის  
გარდა, მადრიდელებს ინგლისის ნაკრების დამრიგებელი სვენ გორან ერი-  
კსონი და „ბოკა ხუნიორის“ ყოფილი თავკაცი კარლოს ბიანკი შეუგუ-  
ლებიათ. 55 წლის ოტმარ ჰიცფელდმა „ბაიერნს“ ოთხზვის გერმანიის  
ჩემპიონობა, ორგზის თასი, ერთხელ ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთა-  
შორისო თასი მოაგებინა. მან ბავარიელთა შარშანდელი უჯილდოობის  
შემდეგ „ოლიმპიაშტადიონი“ მიატოვა, ხოლო ბუნდესნაკრების მწვრთნე-  
ლობაზე კი დადლილობის გამო განაცხადა უარი.

ლადო ხომერიკი



ოტმარ ჰიცფელი, სვენ გორან ერიკსონი, კარლოს ბიანკი — ამთავან ერთი „რეალის“ მწვრთნელი ზაფხულიდან იქნებაო





# იაპონიამ ვერ ჰქმნა? აბრეუ და ცხრა ყოჩალი



ალვარო რეკობასთვის „ინტერის“ ძირითადი კარი რატომღაც ჩაიკეტა

ურუგვაელი ვარსკვლავი ალვარო რეკობა უცნაურ დღეშია: სანამ ნაკრების შემადგენლობაში სათამაშოდ სამშობლოში გაემგზავრებოდა, რობერტო მანჩინის რეგულარულად გამოჰყავდა „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში, დაბრუნებულისთვის კი „შავ-ლურჯი“ გუნდის ძირითადი შემადგენლობის კარი მისი და მანჩინის უნებურად ჩაიკეტა და ჩაიკეტა. მიზეზი: ის არც დაშვებულია და არც

ავადა, უბრალოდ ღამით აღარ სძინავს... ველარ იმინებს.

„რაც ურუგვაიდან დავბრუნდი, მთლად რიგზე ველარ ვარ. უწინდელივით ველარ მძინავს. არა, ეს ფსიქიკური პრობლემა არ არის, რადგან ამ წელიწადს ვარჯიში არ გამოცდენია, მაგრამ სისაღე დამაკლდა. ამასთან უნდა ვაღიარო, რომ მანჩინი ჩემთან აბსოლუტურად მართალია, თუმცა მე რომ თამაში მენატრება, ვფიქრობ, ესეც ნორმალური უნდა იყოს — განაცხადა ურუგვაელმა და დასძინა — ჯერ-ჯერობით მაინც მშვიდად ვარ, რადგან ახალ ჩემპიონატში მხოლოდ ორი ტურია გასული და დაკარგულის ასანაზღაურებლად დიდი დრო მაქვს“.

ამასობაში კი ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა ხორხე ფოსტამ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც სამშობლოში თამაშობენ და რომელთაც შემდეგი მატჩისთვის გამოიძახებს. ასეთი ცხრაა მათ შორის არის „დეპორტივოს“ ყოფილი თავდამსხმელი სებასტიან აბრეუ, რომელიც დანარჩენ რვასთან შედარებით ცნობილია.

ხსენებული უახლოესი თამაში კი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის გახლავთ, 9 ოქტომბრის შეხვედრა ბუენოს აირესში არგენტინასთან.

ბაბუნა კვიციანი



ეროვნული ბიზნისოთახი

# რუდი ფიოლარის ლაი-ლაი ბარათი

„რომას“ გერმანელმა შეფმა, რუდი ფიოლერმა თავის ფეხბურთელებს თამაშის დროს ერთმანეთში მეტი ლაპარაკისკენ მოუწოდა — როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრების ყოფილი თავკაცის რწმენით, გუნდის უიღბლო სტარტის ერთ-ერთი მიზეზთაგანი ესეც იყო.

„მაგალითად, „მესინასთან“ შეხვედრაში ჩვენ ერთმანეთის არ გვესმოდა, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თამაშების დროს ერთმანეთს მეტი უნდა ველაპარაკოთ — განმარტა ფიოლერმა — მგონი, ერთადერთი გუნდი, რომლის ფეხბურთელებიც ჩუმად დარბიან „რომას“, არაა, მოთამაშე მხოლოდ თვალებით კი არ უნდა თამაშობდეს, არამედ პირითაც“.

ბაბუნა კვიციანი

# ფული, ბაბაია, ფული!



ედელსონი: ყატარი მაგარია!

მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი ედელსონი შესაძლოა დიდებულ ხელფასად ყატარში წავიდეს სათამაშოდ. კერძოდ, რომელ გუნდზეა საუბარი, ცნობილი არ არის, თუმცა როგორც ამბობენ, არც რაიმე ხელისშემშლელი პირობა არსებობს. საინტერესოა, რომ ბრაზილიის 2002 წლის ნაკრების წევრი „ფლამენგოდან“ „ვიტორიაში“ სულ ახლახან გადავიდა, მაგრამ თავადვე ამბობს, რომ იმაზე, რაც ყატარელებმა შესთავაზეს, უარს ვერ იტყვოდა.

„ოცდაათობზეტი წლის ვარ და არ ვიცი, მსოფლიოში რამდენი გუნდი დაინტერესდებოდა ჩემი ყიდვით, მაგრამ ყატარში რომ გავახსენდი, ფაქტია. ამ წინადადებაზე უარს ვერავინ გაბედავდა, თუმცა გუნდის ვინაობას ჯერ ვერ დავასახელებ, რადგან მაშინ დეტალებიც უნდა დავაზუსტო, ეს კი ხელშეკრულების გაფორმებამდე არ მინდა“.

ბაბუნა კვიციანი

# გამოდგა რუნის აქსიები

ამ სეზონში ვალერი ბოჟინოვის ჩინებულმა სტარტმა მის მიმართ დიდი ევროპული კლუბების ინტერესი გააღვივა. შეგახსენებთ, საუბარია 18 წლის ბულგარელ თავდამსხმელზე, რომელიც იტალიურ „ლეჩეში“ თამაშობს და სერია A-ს განვლილ ორ ტურში სამი გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ ბოჟინოვის დებიუტი უმაღლეს დონეზე მაშინ შედგა, როდესაც იგი 15 წლისა იყო და მას მერე, იტალიის წამყვანი კლუბები თავდამსხმელს აკვირდებიან, ახლა კი საქმეში ევროპის სხვა ქვეყნების კლუბებიც ჩაერვივნენ. არ დაახანა პრესამაც და ბოჟინოვს უწოდა სერია A-ს პასუხი უეინ რუნზე.

ბოლო მონაცემებით, ბოჟინოვის შეძენა „ბარსელონას“ და „არსენალს“ სურთ. ასე რომ, დაწყებული სეზონის მიწურულს, „ლეჩეს“ ხელის მოთხოვნა შეუძლია. შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ბოჟინოვის სახელს „ლაციოსაც“ უკავშირებდნენ, მაგრამ ურუგვაელი ზავიერ ერნესტო ჩევერტონის „მონაკოში“ გაყიდვის შემდეგ, ლეჩელებმა იგი დაიტოვეს.

ბაბუნა კვიციანი



ახალგაზრდა ვალერი ბოჟინოვის მსურველები არ აყლია

სტოკჰოლმში უეფას ქვეყნების ნაკრებების მწვრთნელთა კონფერენციაზე (საქართველოს აღენ ყირეხი წარმოადგენდა) შეკრებილმა 52 ქვეყნის დელეგატმა საგანგებო ჯგუფის წევრთა მოხსენება მოისმინა

# ბებრი მწვრთნელი პრეტად

ჯგუფში შედიოდნენ ისეთი სერიოზული სპეციალისტები, როგორებიც არიან ინგლისელი როი ჰოჯსონი, ფრანგი ჟერარ ულიე, რუმინელი ანგელ იორდანესკუ, გერმანელი ჰოლგერ ოსიეკი, ბერტი ფოგთისი და სხვები. უეფას ტექნიკურმა დირექტორმა ენდი როქსბურგმა ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ ახლანდელ ეპოქაში ნაკრების თავკაცის პროფესია უფრო მძიმე და ძნელად გასაძლებელი გახდა, რომელმაც ოთხწლიანი კონტრაქტის ფორმა მიიღო.

კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს ევროპის ჩემპიონთა, ბერძენთა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა და პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელმა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ. მათ თავიანთ შედეგებზე განიხილეს ისაუბრეს, ხოლო ინგლისის ნაკრების შეფმა სვენ გორან ერიკსონმა იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც თანამედროვე მწვრთნელი პრეს-ტელევიზიისგან და ხალხისგან განიცდის.

მარჩელო ლიბიმ ფაქტობრივად მხოლოდ ის თქვა, რომ აქამდე საკლებო მწვრთნელად მუშაობდა და ამიტომ ახლა ეუფლება ახალ პროფესიას, ხოლო შვეიცარიის ნაკრების ხელმძღვანელმა იაკობ კუნმა იმ სპეციალისტების პრობლემებზე ილაპარაკა, რომლებიც პატარა ქვეყნების ეროვნულ გუნდებს ხელმძღვანელობენ და, შესაბამისად, მაღალი კლასის ფეხბურთელები არც ისე ბევრი ჰყავთ.

საინტერესო გამოდგა გერმანელი მსაჯის, მარკუს მერკის მოხსენება იმის თაობაზე, რომ უეფას ექსპერიმენტმა, ყოველ შეხვედრაში მსაჯთა ტრიო ერთი რომელიმე ქვეყნიდან დაენიშნა, გაამართლა. მან თქვა, რომ ევრო 2004-ზე (რომლის ფინალიც იმსაჯა) მსაჯსა და მწვრთნელებს შორის ჩინებული ურთი-



მარჩელო ლიბიმ, სანაჯრებოდ ახალბედა ვარო

ერთობა ჩამოყალიბდა. იგი კმაყოფილი გახლდათ ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთელების ქცევითაც. გამოიკვეთა პრობლემაც — სეზონის დასრულებასა და მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო. ამის გამო ფეხბურთელები დალილები მიდიან ჩემპიონატზე და შედეგად, ფავორიტი გუნდები შეჯიბრებას ადრე ეთიშებიან. იკამათეს ოფსაიდის წესზე, კერძოდ, პასიურ თამაშგარეშე. მოითხოვეს ამ საკითხის დამატებითი განხილვა. ისაუბრეს აგრეთვე შესარჩევი მატჩებში გუნდების 23 ფეხბურთელამდე გაზრდაზე და საკუთარ კარში გატანილი გოლის სხვანაირად შეფასებაზე — ასხლელტლი ბურთი კარში რომ შევარდება ავტოკოლადა ნუ ჩაითვლება, თავდამსხმელს მიეთვალისო.

ბაბუნა კვიციანი



# კინი კაღლით დაიბარეს

დღეს მანჩესტერის სასამართლოში რიო კინისა და მისი ძაღლის, ტრიგის საქმეს გაარჩევნენ. ირლანდიელ ფეხბურთელს 16 წლის ბიჭი უჩივის. ოთხ სექტემბერს რიო კინი ძაღლითურთ თავის სახლის მახლობლად დასერილობდა. როგორც მომჩივანი ამბობს, მას ტრიგის თავს დაესხა, რის გამოც ფეხბურთელი და ყმაწვილკაცი შეკამათდნენ. დამტკიცებული არაა, მაგრამ დაზარალებულმა ისიც თქვა, რომ კინმა ძეწკვი ჩამომგლიჯაო. გარდა ამისა, ირლანდიელის ძაღლის ცეკვობას იქვე მდებარე გოლფ-კლუბის მოთამაშეებიც აღუშფოთებია და, ერთ-ერთი ინგლისური გაზეთის ცნობით, კინს ისინიც გამოუვლანდაეს.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ოფიციალურად განაცხადა, საქმე ჯერ გასარჩევია და კომენტარისგან თავს შეეკავებთო.

მათა სუციზილი



რიო კინი და ტრიგის სასამართლოში მიღიან

გასულ შაბათს, „ფულემის“ თავდამსხმელმა, ენდი კოულმა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ კარში გოლი შეაგდო და ახლა ასეთი შედეგი აქვს: პრემიერლიგაში ნათამაშევი 38 გუნდიდან 37-ის კარში გოლი გაუტანია


# ანრის ოსდაათიდან ოსდაათი

ერთადერთი გუნდი, რომლის კარში კოულს გოლი არ გაუტანია, გახლავთ „სუინდონ თაუნ“, ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ იგი სუინდონელებს არ შეხვედრია — ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ 90 წუთი ითამაშა. ანგარიშებიც შთამბეჭდავი იყო (7:1, 2:2), მაგრამ 9 გოლიდან ვაგლახ, კოულისა ერთიც არ გამოდგა.


საინტერესოა, რომ კოულის შედეგის გამოხრება 2 ოქტომბერს ალან შირერსაც შეუძლია. შემდეგ შაბათს მისი „ნიუკასლი“ ბირმინგემში მიდის. ასე, რომ პრემიერლიგის რეკორდსმენ მეგოლეს მიეცემა შანსი გააკეთოს ის, რაც სამ დაპირისპირებაში ვერ შეძლო. მასვე არ გაუტანია გოლი „უოტფორდის“ კარშიც, არადა ორჯერ შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ ის ფორვარდები, რომლებიც პრემიერლიგაში ბოლო წლებში მივიდნენ, კოულის და შირერის შედეგებთან მიხლოებას, ალბათ, ვერ შეძლებენ, თუმცა არის ასეთი ნიშანდობლივი სტატისტიკა: ტიერი ანრი პრემიერლიგაში ნათამაშევი 30 გუნდს შეხვედრია და ყველას კარში გაუტანია გოლი. ახლა, იმისთვის, რომ ასპროცენტური შედეგი არ გაუფუჭდეს, ანრიმ, ამ სეზონში, „კრისტალ პალასის“ კარში ან გოლი უნდა გაიტანოს, ან სულაც გამოტოვოს ეს შეხვედრა.

ბაბუნა კილია



ენდი კოული და ტიერი ანრი



ენდი კოული	38	37	სუინდონი
ალან შირერი	38	36	ბირმინგემი, უოტფორდი
ტიერი ანრი	36	34	უოტფორდი, ვულვზი
ლეს ფერდინანდი	38	33	ბარნსლი, ბრედფორდი, კრისტალ პალასი, უოტფორდი, ვესტ ბრომვიჩი
ტიერი ანრი	30	30	ბარნსლი, ლესტერი
კრის არმსტრონგი	32	30	

# კრის უოლდს მაურინიუს უკვირს

ყოველ მაურინიუსთან „ტოტენჰემის“ დაცვითი ტაქტიკის კრიტიკამ უკურაქცია გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ მაურინიუს „ჩელსიმ“ პრემიერლიგაში ზედიზედ ორი მატჩი უგოლო ფრით დაასრულა. ჯერ ბირმინგემში „ასტონ ვილასთან“, შემდეგ კი შინ „ტოტენჰემთან“. თანაქალაქელებთან ზავმა პორტუგალიელი მწვრთნელი გაახელა, ჟაკ სანტიანის გუნდი ანტიფეხბურთის თამაშობსო.


მაურინიუს სანტიანის ნაცვლად ყოფილმა ტოტენჰემელმა, კრის უოლდმა უპასუხა, რომ მელსაც „მამლებში“ ოთხი სეზონი გაუტარებია და 177 მატჩში 42 გოლიც მიუთვლია.

„რატომ ბრაზობს „ჩელსის“ თავკაცი? — იკითხა უოლდმა — ეგებ მას სურდა, რომ „ტოტენჰემს“ 90 წუთი შეტევაში გაეტარე-


ბინა და 1:5 ან 1:6 წაეგო? ფეხბურთი დაცვა-საც გულისხმობს, რაც ტოტენჰემელებს იმ დღეს ბრწყინვალედ გამოუვიდათ. არ მახსოვს, რომ კლაუდიო რანიერის ოდესმე ეწუწუნოს მეტოქის ტაქტიკის გამო. მაურინიუს „პორტუგ“ დაცვითი ტაქტიკით თამაშობდა. ასე მოიგეს უეფას თასიც და ჩემპიონთა ლიგაც. პორტუგალიელს თავი საუკეთესო მწვრთნელად მიაჩნია და როცა მისი გუნდი ვერ იგებს, წარუმატებლობას სხვებს აბრალებს“.

უოლდამდე ორი დღით ადრე პორტუგალიელს თანამემამულემ, „პორტუში“ მისმა ყოფილმა თანაშემწემ ოქტავიუ მარადუმ წაჰკბინა — მაგისტანა უფმური კაცი არ მინახავსო, თქვა მარადუმ.

მათა სუციზილი



კრის უოლდმა ყოველ მაურინიუს რეპუტაციაში ეგვი შეიტანა



კრისტიანო რონალდო (მარცხნივ) „მანჩესტერის“ საუკეთესო ფეხბურთელია

# რონალდოს ჯილდო, ლივერპულს გინება

პრემიერლიგის მარშანდელი სეზონის „მანჩესტერ იუნაიტედის“ საუკეთესო ფეხბურთელად კრისტიანო რონალდო დაასახელეს. 19 წლის პორტუგალიელს მატჩის სახელობის ჯილდო „ლივერპულთან“ მატჩამდე გადასცეს. გამოკითხვაში, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ქომაგები მონაწილეობდნენ, რონალდომ ათი ათასზე მეტი ხმა მიიღო. სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „ის ჯერ ახალგაზრდაა და გუნდში ადგილი უკვე დაიმკვიდრა. რონალდო ამ ჯილდოს ადრეადა იმსახურებს, სერ მატჩ ბასის ყოველთვის სჯეროდა მომავალი, ნიჭი-

რი თაობის და მათ თავის გამოჩენის საშუალებასაც აძლევდა.“

მატჩამდე კარგის გარდა ერთი ცუდი ამბავიც მოხდა: მანჩესტერელმა ქომაგებმა თავისი კლუბის ვებ-გვერდზე ლივერპულელები უწმინდური სიმღერებით და ლანძვარებით შეამკეს. მათ შორის იყო ესპანურად ნათარგმნი სიმღერა რაფაელ ბენიტესზე და მის მიერ „ლივერპულში“ მიყვანილ თანამემამულე ფეხბურთელებზე. მომხდარის გამო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჩინოვნიკებმა „ლივერპულს“ ოფიციალურად მოუბოდიშეს.

მათა სუციზილი





გერმანია

თასის 1/16 ფინალი
ოსნაბრიუკი 2:3 პაიერნი
0:1 პიზარო (5), 1:1 ენოქსი (19), 2:1 რა-
იხენბერგერი (63), 2:2 პიზარო (74),
2:3 მაკაი (90)
ფრაიბურგი 3:2 დ.დ.(2:2) ბოხუმი
0:1 ბეკანი (23), 1:1 რიტერი (40), 1:2 მისი-
მოფი (54), 2:2, 3:2 დორნი (90, 116)
პადიბურნი 2:1 დუისბურგი
1:0 ლოუბი (34), 1:1 კურტი (43), 2:1 შპო-
რკი (54)
მიუნხენი 0:0(პენ.3:4) ტრირი
ქარლსრუი 1:1 დ.დ.(პენ.3:0,1:1) მიუნცი
0:1 აზაუაგი (60), 1:1 დანდი (82)
ნიურნბერგი 2:3 დ.დ.(2:2) ალენი
1:0 მინტალი (20), 2:0 ვიტევი (44), 2:1
ბამბა (56), 2:2 გორშლოუტერი (59),
2:3 ბამბა (113)
კიოლნი (8) 2:4 არმიინი
0:1 კონცელი (1), 0:2, 0:3 ბაკლი (2, 39), 1:3
შლიოსერი (66), 2:3 ფედერიკო (68), 2:4
გატა (71)

ალენის გამგას ჩხრიალებს
მაგათს მაჰაი მიათროვს



ოსნაბრიუკი — ბაიერი. მასპინძლებმა ბეგერი იწვალეს, მაგრამ ბოლოს სტუმრებმა გაიხარეს



REUTERS ოსნაბრიუკიდან

ჯიჩის პასით გახსნა ანგარიში. და-
მხვდურთა ქომაგებმაც ალბათ იფი-
ქრეს, ახლა კი გაგვანადგურებენო,
მაგრამ „ოსნაბრიუკის“ ამერიკელმა
ლეგიონერმა ჯო ენოქსმა მალევე
გათანაბრა. მეორე ტაიმში მასპინ-
ძლები მოულოდნელად დაწინაურ-
დნენ, როცა თომას რაიხენბერგე-
რმა კანის შემცვლელ რენსინგს გა-
უტანა და 20-ათასამდე გულშემა-
ტყვივარი სიხარულით გადარია.

კლაუდო პიზარომ ათიოდ წუთის
შემდეგ შეაინსტიგერის პასით იხე-
რა და დუბლი შეასრულა, თუმც
შეხვედრის მიწურულამდე მიუნხე-
ნელებმა მოყვარულთა კარის გა-
საღებს ვერ მიაგნეს. მატი დამა-
ტებით დროს ითხოვდა, მაგრამ „ბა-
იერნის“ როი მაკაი რამდენიმე მც-
ველს გასცდა და მარჯვენა საგო-
ლედ მოიქცა.

მეტად საინტერესო თამაში გამო-
დგა. მათმა გუნდმა ბოლომდე იბრ-
ძოლა, ჩვენ კი საქმე თავად გავი-
რთულეთ, თუმც საბოლოოდ მო-
ვიგეთ, რაც საკვებით ლოგიკურია“
— თქვა ფელიქს მაგათმა.
„ფრაიბურგი“ და „ბოხუმი“ სამ
დღეში ერთმანეთს მეორედ შეხვდნენ.
გასულ კვირას გამართულ ბუნდეს-
ლიგის ტურში ფოლკერ ფინკეს შე-
ვირდები მეტოქეს უგოლოდ დას-

„ადგილობრივი ქომაგებისთვის

306 დათვლის უკვე მერამდენედ
იხსნა როი მაკაი „ბაიერი“ სირცხ-
ვილისგან. მოყვარულ ოსნაბრიუკე-
ლებთან სტუმრად გამართულ თასის
მეთექვსმეტედფინალურ მატჩში, „ბა-
იერნს“ ბოლო წუთზე ჰოლანდიელის
გატანომა გოლმა მოაგებინა.
შეხვედრა ისე დაიწყო, როგორც
დიდი და პატარა კლუბების თამა-
შებში ხდება. ტრავმამოშუშებულმა,
გოლსმონატრებულმა კლაუდო პი-
ზარომ მეხუთე წუთზე სალიჰამი-



ლიონელმა მიკაელ ესინმა ტულუზელებს ასე გაუტანა

მსიენმა კედელზე გადაიარა

საფრანგეთი

I ლივიზიონი. VII ტური
ტულუზი 0:2 ლიონი
0:1 ესინი (52), 0:2 მალუდა (90)
„ტულუზმა“ შინ „ლიონთან“
წყაგო და ეს მათი ზედიზედ მეო-
რე მარცხია ამ სეზონში, თან უკვე
ორი ტურია გოლი არ გაუტანიათ.
არადა, ტულუზელებმა ჩემპიონა-
ტი რიხით დაიწყეს და ექვსი ტუ-
რის შემდეგ ყველაზე გოლუბი გუ-
ნდის სახელიც დაიკავეს.
ლიონელმა სიდნი გოვუმ ანგა-
რიში მეცხრე წუთზევე გახსნა, მა-
გრამ ვილ ვესიემ თამაშგარე მდ-
გომარეობის გამო გააუქმა. პირველ
ტაიმში ორივე გუნდის დაცვა კარ-
გად თამაშობდა. მასპინძლებს, ფა-
ქტობრივად საგოლე მომენტი არც
ჰქონიათ, ხოლო შესვენებამდე ხუ-
თი წუთით ადრე სტუმარმა სი-
ლვენ ვილტორდმა ერთხელ დაჰკ-
რა სახიფათოდ.
მეორე ნახევრის დაწყებიდან ათ
წუთში, თამაშ-თამაშ გაუვალი „ტუ-
ლუზის“ დაცვა ლიონელმა მიკა-
ელ ესინმა ბრწყინვალედ შესრუ-
ლებული საჯარიმით გააოგნა: ბუ-
რთი ცოცხალ კედელს გადაავლო
და ცხრიანში შეასრიალა.
ამის შემდეგ დამხვდურებმაც გა-
მოიჩინეს ფხა და დანიელ მორეი-
რას ძლიერად დარტყმული გრე-
გორი კუპემ მოიგერია. მოგვიანე-
ბით კუპეს ორჯერ კიდევ მოუწია
კარის ხაზიდან ბურთის გამოდე-
ვნა. მან ჯერ ნიკოლა დიოზს, მერე

კი კვლავ მორეირას არ გაატანინა.
შეტევით გართულ მასპინძლებს
შეხვედრის ბოლო წუთზე მეტოქის
კონტრიერიში გამოეპარათ და ბრა-
ზილიელი ნილმარის პასით ფლო-
რენ მალუდამ ანგარიშში სხვაობა
ორამდე გაზარდა.
შვიდი ტურის შემდეგ „ლიონი“
დაუმარცხებელია და აღსანიშნავია,
რომ პოლ ლე გუენის შევირდებმა
სტუმრად გამართულ ოთხივე მა-
ტჩში შეძლეს გოლების გატანა.

მეორე ტური. IX ტური

Table with 2 columns: Team and Score. Rows include: ბრესტი 9 5 2 2 15:11 17, ნანსი 9 5 2 2 10:7 17, გენიონი 9 4 4 1 8:4 16, სედანი 9 5 1 3 11:9 16, ამიენი 8 4 3 1 11:7 15, გრენობლი 9 4 3 2 14:14 15, დიჟონი 9 4 2 3 12:10 14, ლე მანი 9 3 4 2 10:7 13, რიემსი 8 3 3 2 10:10 12, კლერმონი 9 2 5 2 12:9 11, ლე ავრი 9 3 2 4 10:9 11, ლორიანი 9 2 4 4 9:11 11, ლავალი 9 3 2 4 8:12 10, ანჟე 8 2 3 3 7:8 9, გენგამი 9 2 3 4 9:13 9, ტრუა 8 2 2 4 11:13 8, მონპელიე 8 2 2 4 6:9 8, კრეტეი 8 2 1 5 8:11 7, შატორუ 8 1 4 3 8:11 7, ნიორი 8 2 0 6 7:11 6

ჰერენვენი — მაკაბი
ერთი მატჩით შეამცირეს

უეზას თასის პირველი მატჩი ებრაულ „მაკაბის“
და ჰოლანდიურ „ჰერენვენს“ შორის, რომელიც ისრაე-
ლში გუმინ უნდა გამართულიყო, ისრაელის ავიამომ-
სახურეთა გაფიცვის გამო სადღეისოდ კი დაგეგმეს,
მაგრამ შეხვედრა საბოლოოდ ჩაიშალა. ჰოლანდიურმა კლუბმა აღიქმულ
მიწაზე გამგზავრება ვერ მოახერხა, ამიტომაც უეფამ გადაწყვიტა, რომ
ამ წყვილს შორის გამარჯვებული ერთი მატჩით გამოავლინოს. თამაში
მომავალ ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, ჰერენვენში შედგება.

გერმანული „ლევერკუზენის“
ნახევარმცველები — დანიელ ბირო-
ფკა და ჰანო ბალიტი სეროზუ-
ლად დაშვდნენ. ორივე მათგანი ოპე-
რაციას საჭიროებს და ექიმები ჯე-
რჯერობით ვერ ამბობენ, თუ რა-
მდენ ხანში დაუბრუნდებიან კლუბს.

ბიროფკას წელი აწუხებს, ხოლო ბალიტის მუხლი სტკივა.
ინგლისური „ბირმინგემის“ ფორვარდი მიკაელ ფორსელი მალე
მუხლზე ოპერაციას გაიკეთებს. ფინელის ტრავმამ ძალიან დააშფურა
ბირმინგემელთა თავკაცი სტივ ბრიუსი, რომელიც სკანდინავზე დიდ იმე-
დებს ამყარებდა. ექიმების თქმით, ფორსელი ნოემბრამდე ვერ ითამაშებს.
„რას ვიზამთ, ოპერაცია აუცილებელია. იმედი მაქვს, მიკაელი დროულად
დაგვიბრუნდება. იგი ჩვენ ძალიან გვჭირდება“ — თქვა ბრიუსმა.

იტალიურმა „ლაციომ“ არგენტინელი მცველი მატეას ლეკი
გადაიბირა და სამხრეთამერიკელთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფო-
რმა. რომაელები ადრეც აპირებდნენ ლეკის შეძენას, მაგრამ ურუგვა-
ულ „სერო პორტენოსთან“ მოლაპარაკება აქამდე გაიწვია. არგენტი-
ნელს ადრე „რივერ პლეიტშიც“ უთამაშია, ხოლო გასულ სეზონში
იგი მადრიდის „ატლეტიკოში“ იყო განათხოვრებული.

ინგლისური „ბოლტონიდან“ გასულ ზაფხულს წასული იური
ჯორკაევი შესაძლოა, პრემიერლიგაში დაბრუნდეს. 36 წლის ვეტე-
რანი ფრანგი ნახევარმცველი მალე ლონდონში ჩაფრინდება და „ფუ-
ლემთან“ ერთად ივარჯიშებს. თუ იგი დედაქალაქელთა თავკაც კრის
კოულმენს თავს მოაწონებს, მხარეები ყველაფერზე მოილაპარაკებენ,
ხოლო კონტრაქტს ოფიციალურად იანვარში, სატრანსფერო ფანჯრის
გახსნისთანავე გააფორმებენ.

საფრანგეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ „აიაქოს“ ხელმძღვანე-
ლობამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დომინიკ ბიჟო დაი-
თხოვა. „აიაქოს“ პრეზიდენტი მიშელ მორეტი მწვრთნელთა სავარაუდო
კანდიდატებს არ ასახელებს, თუმც პრესაში გავრცელდა ინფორმაცია,
რომ შესაძლოა, გუნდი როლან კურბისს ჩააბარონ, თუ ეს უკანასკნე-
ლი „ალანსას“ დატოვებს.

ინგლისური „არსენალის“ მცველი სოლ კემპელი მწყობრშია.
შაკანინამა ფეხბურთელმა ტრავმის გამო დაახლოებით სამი თვე
დაისვენა, ცოტა ხნის წინ კი მინდორს დაუბრუნდა. გასულ უქმეებზე
მან „მეთოფთა“ სარეზერვო გუნდში ითამაშა და საკმაოდ კარგი
შთაბეჭდილებაც დატოვა.

კილენი, ამჯერად კი, თასზე „ფრა-
იბურგმა“ დამატებით დროში იმა-
რჯვა. ბრუნელეტი ტონი ბეჟანს
გოლი დაწინაურდნენ. სამა რე-
ტენმა პირველი ტაიმის მიწურულს
გათანაბრა, ხოლო სტუმრები მეო-
რე ნახევარში მისიმოვიჩის პენა-
ლტით კვლავ წინ გავიდნენ. ფრაი-
ბურგელთა გიბრი შეცვლაზე შე-
სული რეჯის დორნი გახდა, რომე-
ლმაც ჯერ მატჩის ბოლო წუთზე
გაქვითა და მერე დამატებითი დრო-
ის დასრულებამდე ოთხი წუთით
ადრე გამარჯვებისა შეაგდო.
„ნიურნბერგმა“ წინა შაბათს „რე-
ალის“ მძლეველ „ლევერკუზენს“
კინაღამ მოუგო, მაგრამ მეორეუ-
ნდესლიგელ „ალენთან“ ვერაფერს
გახდა. „ნიურნბერგი“ პირველი ტა-
იმის შემდეგ 2:0 დაწინაურდა, თუმც
სტუმართა მუსემესტრე ბამბამ და
ტიმ გორშლოუტერმა სამ წუთში
მასპინძელთა უპირატესობა მოსპეს
დამატებით ნახევარ საათში „ალენს“
კაციც გაუბევეს, მაგრამ ბამბამ მა-
ინც გაიტანა და გუნდი მერვედფი-
ნალში გაიყვანა.
მიუნხენ „1860“-ისა და „ტრირის“
თამაში უგოლოდ დასრულდა, ტრი-
რელებმა კი პენალტებით იმარჯვეს,
ისევე, როგორც „კარლსრუემ“, ბუ-
ნდესლიგელ „მაინცთან“.

მეათე სეზონი

იტალია

Table with 2 columns: Team and Score. Rows include: სერია B. III ტური, არემო 0:0 ასკოლი, კატანჯარო 2:3 კატანი, ჩიუნო 1:1 ბარი, იმპოლი 1:1 ტირანა, მონა 1:0 პიარენცა, პირუჯა 2:0 ტრევიზო, პისკარა 1:3 ალბინოლე, ტორინო 2:1 ჰიენო, ვინცი 3:2 კირონა, ვიჩენცა 3:2 პორტო, ტორინო 3 3 0 0 8:2 9, ალბინოლეფე 3 3 0 0 7:1 9, არეცო 3 2 1 0 7:2 7, პერუჯა 3 2 1 0 5:2 7, ემპოლი 3 2 1 0 4:2 7, ჩიუნო 3 2 1 0 3:1 7, ვიჩენცა 3 2 0 1 4:3 6, პიარენცა 3 2 0 1 4:3 6, კატანი 3 2 0 1 5:5 6, ჟენოა 3 1 1 1 4:3 4, მონა 3 1 1 1 2:3 4, ტრესტინა 2 1 0 1 1:1 3, კატანჯარო 3 1 0 2 4:5 3, ვენეცია 3 1 0 2 4:6 3, სალერნიტანა 2 0 2 0 1:1 2, ბარი 3 0 2 1 3:4 2, ტრინანა 3 0 2 1 2:3 2, ასკოლი 3 0 1 2 1:5 1, ტრევიზო 3 0 1 2 1:6 1, კირონე 3 0 0 3 3:6 0, ვერონა 3 0 0 3 3:7 0, პესკარა 3 0 0 3 2:7 0

პორტუგალია

Table with 2 columns: Team and Score. Rows include: სუპერლიგა. III ტური, ბრაზა 1:0 ვიზარაუმი, 1:0 ფოა ტომაში (34), ბენფიკა 3 3 0 0 6:2 9, სეტუბალი 3 2 1 0 7:2 7, ბელენენსეში 3 2 1 0 8:4 7, ბოავიშტა 3 2 1 0 3:1 7, მარიტიმუ 3 2 0 1 4:3 6, ბრაგა 3 1 2 0 4:3 5, გიმარაეში 3 1 1 1 2:2 4, მორეირენსე 3 1 1 1 3:4 4, ლეირია 2 1 0 1 5:4 3, რიუ ავე 3 0 3 0 4:4 3, ნასიონალი 3 1 0 2 4:5 3, ბეირა მარი 3 1 0 2 4:5 3, სპორტინგი 3 1 0 2 3:5 3, პორტუ 2 0 2 0 3:3 2, ეშტორილი 3 0 2 1 4:6 2, აჟადევიკა 3 0 1 2 3:5 1, პენაფიელი 3 0 1 2 2:8 1, ჟილ ვისენტე 3 0 0 3 2:5 0



# სარბიელი კროკო

სარბიელი  
საქონლის  
სადავო  
სამსახური

## ნარბიელი ბანო

ინგლისი. პრემიერლიგა. VII ტური								შოტლანდია. პრემიერლიგა. VII ტური									
25 სექტემბერი								25 სექტემბერი									
1	X	2	1-X	1-2	X-2			1	X	2	1-X	1-2	X-2				
15.45	031	მიდლსბრო-ჩელსი	3,5	3,2	2,0	1,67	1,27	1,23	18.00	165	აბერდინი-პიბერნიანი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
18.00	032	ასტონ ვილა-კრისტალ პალასი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46	18.00	166	სელტიკი-დანფერმლაინი	1,1	6,0	15,0	1	1,02	4,28
18.00	033	ფულემი-საუთჰემპტონი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72	18.00	167	პარტი-ინვერნესი	1,45	3,6	7,0	1,03	1,2	2,37
18.00	034	ლივერპული-ნორვიჩი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6	18.00	168	კლამარსი-დანდი იუნაიტედი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
